

თემატიკა გვანცელაძე

ენობრივი პოლიტიკა თანამედროვე აფხაზეთში
(ძირითადი ასპექტები)

1993 წლის სექტემბრის ბოლოს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასრულდა საომარი მოქმედებები და დამყარდა რუსული საოკუპაციო რეჟიმი, რასაც თან მოჰყვა რეგიონში ეთნიკურ-დემოგრაფიული და ენობრივი სიტუაციის რადიკალური ცვლილებები. საოკუპაციო რეჟიმი და მისი მხარდამჭერი ძალები აცხადებენ, რომ "აღდგა სამართლიანობა", "ქართველი დამპყრობლებისაგან გათავისუფლებულმა აფხაზმა ხალხმა დაიწყო თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სახელმწიფოს აღდგენა-შენება" და "შეიქმნა ხელსაყრელი პირობები აფხაზური ენისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის".

1993 წლიდან დღემდე რეგიონში საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული ენობრივი პოლიტიკის ანალიზი ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს რეჟიმი, მიუხედავად იმისა, რომ მისი წევრების უმრავლესობა ეთნიკური აფხაზები არიან, რეალურად რუსეთის ფედერაციის ზელისუფლების დანამატი და განუზრვლად აგრძელებს ჯერ ცარიზმისა და შემდგომ კომუნისტურ-რუსული იმპერიის მიერ დაწყებულ რესიფიკატორულ პოლიტიკას რეგიონის მთელი მოსახლეობის მიმართ, რაც გაქრობის საფრთხის წინაშე აყენებს რეგიონის უკლებლივ ყველა არარუსის ენებსა და კულტურას, მათ იდენტობას, მაგრამ მთავარი სამიზნე მაინც ქართველი მოსახლეობა, მისი ენა, კულტურა და იდენტობაა.

1994 წლის 26 ნოემბერს საოკუპაციო რეჟიმმა ("პარლამენტმა") დაამტკიცა ე.წ. კონსტიტუცია, რომელშიც ჩაიწერა, რომ "აფხაზეთის რესპუბლიკის" სახელმწიფო ენა არის აფხაზური, ხოლო სახელმწიფო დაქვემდებარებისა და სხვა დაწესებულებათა ოფიციალური ენაა რუსული (აფხაზურთან ერთად), რაც რეალურად რუსული ენის პრიორიტეტულ ენად დარჩენას ნიშნავს. მართლაც, ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ენა კვლავაც რჩება გაბატონებულ და პრესტიჟულ ენად:

რუსულ ენაზე მიმდინარეობს "პარლამენტისა" და "მთავრობის" სხდომები, "პრეზიდენტისა" და უმაღლესი დონის სხვა ოფიციალურ პირთა მიერ მოწყობილი თათბირები და პრესკონფერენციები;

რუსულ ენაზე ფორმდება და ვრცელდება რეგიონალური მასშტაბის ყველა დაწესებულების ოფიციალური დოკუმენტები;

რუსული ენაა ძალოვანი სტრუქტურების ერთადერთი სამუშაო ენა; ამ ენაზე ადგენენ "სავიზიტო ბარათებს", საშვებს, სააღრიცხვო-სტატისტიკურ დოკუმენტებს, ბრძანებებს, განკარგულებებს, ცირკულარებს, ოქმებს და ა.შ.; რუსულ ენაზე მუშაობენ ბანკები და მათი ფილიალები; ინტერეთნიკური კომუნიკაციის ენა რუსულია და ა.შ.

ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ რეგიონში აფხაზური ენის ფუნქციონირება შეზღუდულია და მისი დეკლარირებული მაღალი სტატუსი ფიქტია. თუმცა ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ ამ ენის გამოყენების სფეროები უმნიშვნელოდ, მაგრამ მიანც გაიზარდა, რაც შემდეგით გამოიხატება:

რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ შეიქმნა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, რომლის შემადგენლობაშიც შეყვანილ იქნა ადრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემაჯავლი დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი და სხვა კვლევითი ინსტიტუტები. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ახლადშექმნილ აკადემიაში შეყვანილ ინსტიტუტთაგან აფხაზურ ენაზე კვლევითი მუშაობა მხოლოდ დ. გულიას სახელობის ინსტიტუტში მიმდინარეობს, სხვებში კი სამუშაო ენა კვლავ რუსულია. აღსანიშნავია ისიც, რომ დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს სახელი შეეცვალა და ეწოდა აფხაზეთის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტი (Институт гуманитарных исследований), რაც რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მომხდარი რეფორმის ნაწილია: რუსეთის ფედერაციის ყოფილ ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებში (ამჟამად რესპუბლიკებში) მანამდე არსებობდა ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევითი ინსტიტუტები“ (მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი ...), რომელთაც ამჟამად “ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტები“ ეწოდება და შედიან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური ცენტრების დაქვემდებარებაში (მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტი...). მართალია, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ოფიციალურად არ ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიას და არ იწოდება ამ აკადემიის რეგიონალურ ცენტრად, მაგრამ იგი ფინანსდება სწორედ რუსეთის ფედერაციის თანხით, სისტემატ რუსულია და საშტატო განაკვეთებიც.

2004 წლის 3 ოქტომბრის “აფხაზეთის პრეზიდენტის“ არჩევნებამდე დადგინდა, რომ “პრეზიდენტობის“ კანდიდატმა აუცილებლად უნდა იცოდეს აფხაზური ენა; ამ მიზნითვე შეიქმნა სპეციალური კომისია აფხაზ ენათმეცნიერთა შემადგენლობით, რომელმაც უნდა შეამოწმოს კანდიდატის მიერ აფხაზური ენის ფლობის დონე, რაც ამ ენის ოფიციალური სტატუსის პატივისცემად შეიძლებოდა აღქმულიყო, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ზოგი გარემოება, რაც სხვაგვარად წარმოაჩენს ამ ფაქტს:

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში აფხაზური ენა არ ისწავლებოდა არააფხაზურ სკოლებში, რის გამოც არააფხაზურ მოსახლეობაში უმნიშვნელო იყო ამ ენის მცოდნეთა რაოდენობა. მაგალითად, 1989 წლის ოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთში მოსახლე არააფხაზთაგან არც ერთი ეროვნების კომპაქტურ ჯგუფში აფხაზური ენის თავისუფლად მცოდნეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 1 პროცენტს (საქართველოს მოსახლეობის... 1991, გვ. 160). 2004 წლისთვის კი “საპრეზიდენტო“ ასაკს სწორედ ის თაობები ქმნიდნენ, ვინც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს იზრდებოდა საბჭოურ სკოლებში. აფხაზურ ენას ეს თაობა თავისუფლად ვეღარ შეისწავლიდა 1993 წლის შემდგომაც, ვინაიდან არ არსებობს საამისო პირობები (ენის შესასწავლი კურსები, შესაბამისი სახელმძღვანელოები თუ კომპიუტერული პროგრამები...). ამის გამო “პრეზიდენტობის“ კანდიდატთაგან აფხაზური ენის ცოდნის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი არააფხაზი მოქალაქე ვერ შეძლებს, კენჭი იყაროს აფხაზეთის “პრეზიდენტის“ თანამდებობის დასაკავებლად, რაც სეგრეგაციისა და აპარტიდის აშკარა გამოვლინებაა.

3. რეგიონში მოქმედ არააფხაზურ სკოლებში სავალდებულოდ გამოცხადდა აფხაზური ენის შესწავლა და გამოიცა ამ ენის სასკოლო სახელმძღვანელოები არააფხაზური სკოლებისათვის. მიგვაჩნია, რომ ეს ღონისძიება უდავოდ მართებულია — აფხაზეთის ყველა მოსახლემ, ეროვნების მიუხედავად, მინიმალურ ღონეზე მაინც უნდა იცოდეს ეს ენა, მაგრამ სერიოზული ნაკლი ამ ღონისძიებასაც აქვს, კერძოდ:

ა) არააფხაზური სკოლებისათვის განკუთვნილი აფხაზური ენის სახელმძღვანელოები შედგენილია მხოლოდ რუსული ენის საფუძველზე, მათში აუცილებელი განმარტებანი და დავალებანი წარმოდგენილია რუსულ ენაზე, ლექსიკა და ფრაზეოლოგიზმები თარგმნილია რუსულად და ერთვის მოკლე აფხაზურ-რუსული ლექსიკონები. მოკლედ, ეს წიგნები ანგარიშს არ უწევენ არააფხაზ და არარუს მოსწავლეთა (ქართველების, სომხების, უკრაინელების...) ეთნიკურ-ენობრივ თავისთავადობას და განურჩევლად ყველას თავს ახვევენ რუსულ ენასა და რუსულ ენობრივ-ეთნიკურ მსოფლზატთა სისტემას. ეს მაშინ, როცა ბედაგოგიაში უკვე დიდი ხანია დავას აღარ იწვევს ის, რომ მეორე ენის შესწავლა ყველაზე შედეგიანი და უმტკივნეულოა, თუ ბავშვს დედაენის ღრმა ცოდნის საფუძველზე ვაზიარებთ სხვა ენის სამყაროს. გარდა ამისა, აფხაზეთში მოსახლე არააფხაზ-არარუს ბავშვთაგან აფხაზური ენის შესწავლა ყველაზე იოლად ქართველებს შეეძლებათ, ვინაიდან ქართული და აფხაზური ურთიერთმონათესავე ენებია და ქართველი ბავშვი სხვა, მესამე ენის შეუამავლობის გარეშე უფრო ადვილად ჩასწვდება მონათესავე აფხაზური ენის საინტერესო სამყაროს.

ბ) არააფხაზურ სკოლებში აფხაზური ენის სწავლების მაღალ ღონეზე წარმართვას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის აფხაზური ენის მასწავლებელთა სიმცირე, რის გამოც არააფხაზურ სკოლათა ერთ ნაწილში ეს ენა საერთოდ არ ისწავლება, მეორე ნაწილში კი საგანს არაპროფესიონალები ასწავლიან.

გ) აფხაზური ენის სწავლების გაძლიერების მოტივით გალის რაიონის ქართულ სკოლებში შემცირდა საათობრივი დატვირთვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მაგრამ გაიზარდა დატვირთვა რუსულ ენაში. მაგალითად, 2000 წელს ქართული ენის სწავლებისათვის ქართულ სკოლებში მანამდე გამოყოფილი კვირაში 73 საათი (I-XI კლასები) დაყვანილ იქნა 40 საათამდე, ხოლო რუსული ენისთვის გამოყოფილი კვირაში 29 საათი გაიზარდა 53 საათამდე.

1993 წლის ოქტომბრიდან დღემდე, როცა დეკლარირდება აფხაზეთის “სუვერენიტეტი”, მოსალოდნელი იყო აფხაზური ენის სწავლების გაუმჯობესება და გაძლიერება ე.წ. აფხაზურ სკოლებში — “სუვერენულ სახელმწიფოს”, უპირველეს ყოვლისა, აფხაზთა დედაენაზე უნდა ეზრუნა, მაგრამ ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა:

საბჭოთა პერიოდში ე.წ. აფხაზური სკოლა რეალურად არ ყოფილა ეროვნული, იგი რუსული სკოლა იყო აფხაზური ენის სწავლების ელემენტებითურთ, ვინაიდან აფხაზური ენა სწავლების ენად გამოიყენებოდა მხოლოდ დაწყებითი კლასების (I-IV კლასები) რამდენიმე საგნის სწავლებისათვის (დედაენა, სუფთა წერა, ხელგარჯილობა, ბუნებისმცოდნეობა), სკოლის II და III საფეხურებზე კი მას იყენებდნენ მხოლოდ აფხაზური ენის და აფხაზური ლიტერატურის სწავლებისათვის, ყველა დანარჩენი დისციპლინა კი (ბიოლოგიური, ტექნიკური და ჰუმანიტარული საგნები) რუსულ ენაზე შეისწავლებოდა. ასე გრძელდებოდა

1989 წლამდე, როცა შედგა "აფხაზეთის ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა", რომელშიც მოკრძალებით დაისვა საკითხი "აფხაზური" სკოლების V-VI კლასებში სახვითი ხელოვნების, მუსიკისა და სიმღერის, ისტორიის, ჯეოგრაფიის სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების აფხაზურ ენაზე დადაყვანის შესახებ (აქტების კრებული, 2002, გვ. 11). რა თქმა უნდა, მანამდე ყველა ამ დისციპლინის გაკვეთილებიც რუსულ ენაზე ტარდებოდა და ეს არ ყოფილა "ქართველი ოკუპანტების" ნება, ვინაიდან ზუსტად იგივე ვითარება იყო უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და რუსეთის ფედერაციის ავტონომიების ეროვნულ თუ "ეროვნულ" სკოლებშიც.

"სუვერენიტეტის მოპოვების" შემდეგ ე.წ. აფხაზურ სკოლებში ვითარება აღარ შეცვლილა: V კლასის შემდგომ ყველა ბიოლოგიური და ტექნიკური საგანი და ჰუმანიტარულ საგანთა უმრავლესობა კვლავაც რუსულ ენაზე ისწავლება, რაც აფხაზური ენის უფლებების უხეში შელახვაა.

ამჟამინდელ აფხაზეთში განხორციელებული ენობრივი პოლიტიკა ორი მნიშვნელოვანი ტენდენციით ხასიათდება: იგი აშკარად რუსიფიკატორული და აგრესიულად ანტიქართულია. აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული ანტიქართული ენობრივი პოლიტიკა გადაჯაჭვულია დემოგრაფიულ-ეთნიკურ პოლიტიკასთან, ამიტომ მოკლედ გავაანალიზებთ რეგიონის ეთნიკურ-დემოგრაფიულ ვითარებას.

1989 წელს აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 525 061 კაცს, რომლებიც ეროვნებათა მიხედვით ასე ნაწილდებოდნენ:

- აფხაზები — 93 267 (17,8%);
- ქართველები — 239 872 (45,7%);
- რუსები — 74 914 (14,3%);
- სომხები — 76 541 (14,6%);
- ბერძნები — 14 664 (2,8%);
- უკრაინელები — 11 655 (2,2%);
- სხვები — 14 148 (2,6%).

დედაენის ცოდნის თვალსაზრისით ხმავე წელს ამგვარი ვითარება იყო:

- აფხაზები — 97,3%;
- ქართველები — 98,5%;
- რუსები — 99,7%;
- სომხები — 95,4%;
- ბერძნები — 86,8%;

უკრაინელები — 57,6% (საქართველოს მოსახლეობის..., 1991, გვ. 142-143).

საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1992-1993 წლებშიც და 1993 წლის შემდგომაც რეგიონი დატოვა ყველა ეროვნებისათვის ადამიანმა. მათ შორის საქართველოს დანარჩენ რეგიონებს შეაფარა თავი 269 750 კაცმა, რომელთაგან 323 აფხაზია, 382 სომეხი, 1128 რუსი, 700-მდე სხვა ეროვნების ადამიანი, დანარჩენი კი — ქართველი. ომის დასრულების შემდგომ ამათგან ქართველთა ნაწილი დაბრუნდა აფხაზეთში, უპირატესად გალის რაიონში, რომელშიც ომამდე ქართველები 93,8%-ს შეადგენდნენ.

თუ ვერწმუნებით აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის განცხადებებს, 2003

წელს რეგიონში ასეთი ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარება ყოფილა:

- აფხაზები — 64 ათასი (27,8%);
- ქართველები — 67 ათასი (29,1%);
- სომხები — 70 ათასი (30,4%);
- რუსები — 40 ათასი (17,3%);
- სხვები — 11 ათასი (4,7%);
- სულ — 230 ათასი.

ამ მონაცემებიდანაც კი ჩანს, რომ აფხაზთა და ქართველთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია (აფხაზებისა დაახლოებით 30 ათასით, ანუ ერთი მესამედით, ქართველებისა კი — დაახლოებით 172 ათასით, ანუ 3,5-ჯერ). ცნობილია ისიც, რომ ამჟამად აფხაზეთში თითქმის აღარ ცხოვრობენ ბერძენები, ესტონელები და ებრაელები, რომლებიც გადასახლდნენ საბერძნეთში, ესტონეთსა და ისრაელში.

რეგიონის ქართული მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობს საქართველოს იურისდიქციის ქვეშ დარჩენილ დალის ხეობასა (ზემო აფხაზეთში) და ოკუპირებულ ყოფილ გალის რაიონში, რომელსაც საოკუპაციო ხელისუფლებამ აქაურ ქართველებზე კონტროლის გაძლიერებისა და მათი აფხაზებთან გაწონასწორების მიზნით შეუმცირა ტერიტორია და სოფლების ნაწილი მიუერთა ოჩამჩირისა და ახლადშექმნილ ტყვარჩელის რაიონებს. ყოფილი გალის რაიონის ქართული მოსახლეობა ომის შემდგომ მუდმივი ზეწოლის, ტერორისა და დისკრიმინაციის პირობებში ცხოვრობს:

საომარ მოქმედებათა დასრულების შემდგომ, 1993-1997 წლებში მარტო ყოფილ გალის რაიონში დახოცეს (წამების შემდეგ დახვრიტეს, ტანკებით ათრიეს, თავი მოაჭრეს, დაწვეს, ცოცხლად დამარხეს...) 951 ქართველი, ძირითადად ქალები, მოხუცები და ბავშვები. მათგან ქ. გალში 143 კაცი, გუდავში — 76, ოქუშში — 73, პირველ გალში — 57, აჩიგვარაში — 56, რეფში — 54, მზიურში — 52, ჭუბურხინჯში — 49, განახლებაში — 42, წარჩეში — 41, ოტობაიაში — 40, ზემო ბარლებში — 38, შეშელეთში — 32, მუხურში — 30, ქვემო ბარლებში — 26, ნაბაკევში — 23, დიხაზურგაში — 21, თაგილონში — 20, სიდაში — 16, ფიჩორში — 15, ლუმურიში — 10, ლეკუხონაში — 9, საბერიოსა და ჩხორთოლში — 8-8, ბეიდასა და რეჩხში — 6-6 (დახოცილთა სია იხ.: ი. კაკავა, 2005, გვ. 3-38). ამავე პერიოდში რაიონში დახოცეს 28 არაქართველიც, მათ შორის 2 აფხაზი, 1 სომეხი, 3 ოსი, 2 ბერძენი და 20 რუსი (ი. კაკავა, 2005, გვ. 3-38).

საოკუპაციო რეჟიმი მისი მოსკოველი კონსულტანტების რჩევით განსაკუთრებულ აქცენტს გალელ ქართველთა დანარჩენი ქართველებისაგან მოწყვეტაზე აკეთებს. ამ მიზნის მისაღწევად გალის ქართული მოსახლეობა ოფიციალურად აღირიცხება როგორც მეგრელები და არა როგორც ქართველები.

მაგალითად, აფხაზეთის 1994 წლის 26 ნოემბრის “კონსტიტუციაში” აფხაზეთში მოსახლე ეთნოსთა შორის დასახელებულნი არიან მეგრელები, მაგრამ საერთოდ არ იხსენებიან ქართველები, რაც ასახულია 2006 წელს სოხუმში გამოცემულ აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოშიც (ბლაჟბალაკობა, 2006, გვ. 262 და სხვ.), რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობას ტვინში უჭედავს იმ აზრს, რომ მეგრელები ქართველები არ არიან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთხანს აფხაზეთის პოლიტიკურ ძალთა შორის ამ საკითხთან

დაკავშირებით ორი განსხვავებული აზრი არსებობდა: 2001 წელს დაარსებული აფხაზეთის რესპუბლიკური პარტიის "აფსნის" ლიდერები ემყარებიან დაუსაბუთებელ თვალსაზრისს, თითქოს გალის რაიონის ქართული მოსახლეობა წარმოშობით აფხაზები (აფსუები) ყოფილიყვნენ და მოითხოვენ მათ კვლავ გააფსუებასა და "წინაპართა ნამდვილი გვარების დაბრუნებას", რასაც იმ დროს არ ეთანხმებოდნენ მოძრაობა "აითაირას" ("აღორძინება") ლიდერები ლ. ლაკერბაია, ო. დამენია, თ. ქეცბა და სხვანი, რომელნიც მიიჩნევდნენ, რომ გალელებს არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეთ და თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რომელი გვარები ატარონ, რომელი ენა მიიჩნიონ დედაენად და რა ეროვნებისად ჩათვალონ თავი (გაზ. "კვირის პალიტრა", 2001 წლის 30 აპრილი-ნ მაისი, №18). საოკუპაციო რეჟიმმა საბოლოოდ მაინც ცარიზმის გამთიშველი პოლიტიკის რეანიმაციის გზა აირჩია, რაც შემდეგში გამოიხატა:

ა) როგორც ითქვა, გალელები ქართველები ქართველებად აღარ აღირიცხებიან;

ბ) მათ დედაენად ცხადდება არა ქართული ენა, არამედ მეგრული დიალექტი;

გ) 1996 წლიდან გამოიცემა აფხაზურ-რუსულ-მეგრულ "ენოვანი" გაზეთი "გალი";

დ) დაიწყო მზადება მეგრულ "ენოვანი" რადიოსადგურისა და ტელესტუდიის ასამოქმედებლად;

ე) რაკი გალელები ქართველებად არ მიიჩნევიან, დაიგეგმა (და ნაწილობრივ განხორციელდა) რაიონის ტერიტორიაზე მოქმედ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა და რუსულად სწავლების შემოღება: 1993 წლამდე რაიონში 58 სკოლა მოქმედებდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართული იყო, 2004-2005 სასწავლო წელს კი ყოფილი რაიონის ტერიტორიაზე მუშაობდა 31 სკოლა, რომლებიც რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ქ. გალის №1, საბერიოს №2 და კობორის სკოლები იყო რუსულენოვანი და ასეთადაც დარჩა; 14 სკოლა იყო ქართული და ასეთადვე დარჩა; 13 სკოლა იყო ქართული და გახდა რუსულენოვანი ზოგ მათგანში ქართულის შესწავლის ელემენტებითურთ, ხოლო ჩხორთოლის ქართულ-"აფხაზური" სკოლა რუსულ-"აფხაზურად" გადაკეთდა. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა 2006 წლისათვის, როცა ყოფილი გალის რაიონის ტერიტორიაზე 10 ქართული სკოლადა დარჩა და მათშიც საქმე იქით მიდის, რომ ეს სკოლებიც რუსულენოვანი გახდეს: 2006 წლის 1 სექტემბრიდან ქართული სკოლების I კლასში ქართული ენისათვის გამოყოფილი იყო 4 საათი, რუსულისთვის კი — 6 საათი. დაგეგმილია ამ სკოლებში სწავლების თანდათანობით გადაყვანა რუსულ ენაზე. ამის პარალელურად, ჩვენი რამდენიმე ინფორმატორის სიტყვით, გალელ ქართველებს უკვე რამდენიმეჯერ შესთავაზეს მეგრულ "ენოვანი" სკოლების გახსნა, მაგრამ მოსახლეობამ "ვერ დააფასა" მათზე ამგვარი "ზრუნვა" და უარი განაცხადა.

ერთ-ერთი გალელები პედაგოგის მიხედვით, 2006 წლის 21 აპრილს საგანგებოდ შეკრიბეს გალის რაიონის მასწავლებლები. შეკრებაზე "აფხაზეთის პრეზიდენტის" რწმუნებულმა რ. ქიშმარიამ განაცხადა: "თქვენი ფერება მოგვწყინდა, გაითვალისწინეთ, რომ 1-ლი სექტემბრიდან აფხაზეთის ყველა სკოლაში მხოლოდ აფხაზურ და რუსულ ენებზე იქნება სწავლება. ვისაც რამე საწინააღმდეგო აქვს, უნგურსგაღმა გადაბრძანდეს და იქ ასწავლოს. შეიძლება ერთადერთ დათმობაზე

წავიდეთ და ქართული ენის, როგორც ერთ-ერთი საგნის სწავლების უფლება მოგცეთ, თუმცა ჯერ ესეც არ გვაქვს კარგად აწონილ-დაწონილიო“ (გაზ. “კვირის პალიტრა“, 2006 წლის 24-30 აპრილი).

ვ) საოკუპაციო რეჟიმი და მისი იდეოლოგიები დიდ ყურადღებას უთმობენ გალელ ქართველთა არაქართველობის “თეორიის“ გავრცელება-პროპაგანდას. საამისოდ რუსულ ენაზე გამოიცა ისტორიკოს თემურ აჩუგბას წიგნი “О проблемах национального самосознания населения Юго-Восточной абхазии” (სოხუმი, 2006), რომლის ელექტრონული ვერსია ინტერნეტშიც განთავსდა (www.abkhaziya.org/server-articles/article-87_d3c1166c7f9911853819db0af7bb420.html). წიგნში ავტორი ისტორიული ფაქტების გაყალბების გზით ცდილობს, დაამტკიცოს, რომ თურმე აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა წარმოშობით აფხაზ-აფსუაა და დღეს შეცდომით მიიჩნევენ მეგრულად თავს (წიგნის ძირითადი დებულებების არგუმენტირებული კრიტიკა იხ.: მ. თორია, 2007; ი. კვაშილავა, 2007). ამ წიგნს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ საოკუპაციო ხელისუფლებამ 2006 წლის 8 დეკემბერს გალის რაიონის ადმინისტრაციის სააქტო დარბაზში საგანგებოდ შეახვედრა ავტორი რაიონის მოსახლეობის ნაწილს, პირველ რიგში, პედაგოგებს. შეხვედრას დაესწრნენ რეჟიმის ისეთ მაღალჩინოსნები და იდეოლოგები, როგორიც არიან: “ვიცე-სპიკერი“ კ. ოზგანი, ახალი ათონის სასულიერო სასწავლებლის რექტორი ლ. აჯინჯალი, ისტორიკოსები თ. ჭეცბა და რ. ანჩაბაძე (აჩბა), აგრეთვე მასმედიის წარმომადგენლები. ამ შეხვედრისადმი მიძღვნილ გაზეთ “გალის“ პუბლიკაციაში, რომელსაც ნ. ნუგბას ფსევდონიმით ხელს აწერს გაზეთის რედაქტორი ნუგზარ სალაყაია, გამჟღავნებულია საოკუპაციო რეჟიმის გეგმა, შედგეს საგანგებო პროგრამა სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის მოსახლეობის მიდრეკისა “თავიანთი ეროვნული ფესვებისაკენ“, ე.ი. ჯერ გააფხაზება-აფსუიზაციისაკენ, მერე კი გარუსებისაკენ (გაზეთი “გალი“, 2006 წლის დეკემბერი, №14, გვ.4).

ზ) გალელ ქართველთა არაქართველობის სამტკიცებლად უფრო ადრე აზრის გამოთქმა სთხოვეს ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორს, აფხაზთა სიძეს ბრაიან ჯორჯ ჰიუიტს, რომლის ინტერვიუ ჯერ მეგრულად, შემდეგ კი რუსულად დაიბეჭდა გაზეთ “გალის“ 2004 წლის მე-10 და მე-11 ნომრებში. ამ ინტერვიუში ჯ. ჰიუიტი “მეცნიერულად“ აცხადებს, რომ მეგრელები არ არიან ქართველები, რომ მეგრული მეტყველება დამოუკიდებელი ენაა და მასზე აუცილებლად უნდა შეიქმნას საწიგნობრო ენა, ხოლო სამეგრელო ასევე აუცილებლად ავტონომიის ღირსია (სხვათა შორის, იგივე “მეცნიერული“ აზრები მან 1999 წელს თურქეთში გამომავალ ეურნალ “ჩვენებურებისათვის“ გაგზავნილ სტატიაშიც და სხვაგანაც არაერთხელ გამოთქვა)...

ამ კონტექსტში უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებულ ენობრივ და ეთნიკურ-დემოგრაფიულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს ცარიზმის დროს შექმნილი “მეცნიერული თეორია“ 3-4 ქართველური “ენის“ არსებობის შესახებ, რომლის დაძლევა და თავიდან მოშორება, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდება ქართველ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის “მეცნიერული ჭეშმარიტებისადმი მტკიცე ერთგულების“ მიზეზით. დიდი მეცნიერები მეგრულ-ჭანურსა და სვანურს ენებს უწოდებდნენ და მათ აზრს ვერ ვუღალატებთო, ერთხმად აცხადებენ არნოდლ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით, რეალურად კი გერმანული ფონდის

“ფოლკსვაგენ” მტიფტუნგის“ გრანტით 2007 წელს გამოცემული სამარცხვინო კრებული “ქართველური ენები და დიალექტები“-ს ავტორები: ავთანდილ არაბული, მიხეილ ქურდიანი, გიორგი გოგოლაშვილი, ჭაბუკი ქირია და სხვანი, რომლებიც ანათემას გადასცემენ ყველას, ვისაც მეგრულ-ქანური და სვანური ენებად არ მიაჩნია, იმას კი ვერ ხედავენ, რომ მათ “მეცნიერულ ჭეშმარიტებას“, რომელსაც მეცნიერული არგუმენტებით მტკიცება ვერ მოუხერხდა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, ქართველი ერისა და საქართველოს ერთიანობის დაუძინებელი მტრები მარჯვედ იყენებდნენ და დღესაც იყენებენ საქართველოს ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილში — აფხაზეთში და იქაურ ქართველობას გარუსების საწინააღმდეგო არგუმენტი ეცლებათ ხელიდან. ამ ბატონებს არ ანადვლებთ ის, რომ მეგრულის ენად მიჩნევამ ხელი შეუწყო აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გალულ ქართველთა მიმართ აგრესიული ანტიქართული ეთნოფაბრიკაციული პოლიტიკის განხორციელებას, ამ რაიონში ქართველთა მთელი თაობის იაკობის “დედაენის“ გარეშე აღზრდას, მათ შეგნებაში უმდიდრესი ქართული კულტურის მემკვიდრის განცდის აღმოფხვრის მცდელობებს... ნეტავი რას უბასუხებენ ეს ავტორები გალის №2 (ყოფილი №4) საშუალო სკოლის იმ თვალმახარა გოგობიჭებს, რომლებიც 2006 წლის იანვარში მათ სკოლასთან გამოჩენილ ქართველ ტელეჟურნალისტებს გულიდან ამოხეთქილი “გაუმარჯოს საქართველოს!“ ძაბილით შეეგებნენ, სამაგიეროდ კი საოკუპაციო რეჟიმისაგან მათი პედაგოგების დევნა-შევიწროება მიიღეს? ის ბავშვები ზვალ-ზეგ მათ აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს ამ წიგნის გამოცემის გამო...

ლიტერატურა

აქტების კრებული, 2002 — რეგიონული კონფლიქტები საქართველოში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002.

აჩუგბა, 2006 — Т.А.Ачугба. О проблемах национального самосознания Юго-Восточной Абхазии. Сухуми, 2006.

ბლაუბა-ლაკობა, 2006 — О.Х.Бгажба, С.З.Лакоба. История Абхазии с древнейших времен до наших дней. 10-11 классы. учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухуми, 2006.

მ. თორია, 2007 — მალზაზ თორია, “ეთნიკური წმენდის“ თეორიული დასაბუთება თანამედროვე აფხაზურ ისტორიოგრაფიაში (თ. აჩუგბას ნაშრომების მიხედვით): “კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, X. თბ., 2007.

ი. კაკავა, 2005 — იური კაკავა, ტრაგედია, ზუგდიდი, 2005.

ი. კვაშილავა, 2007 — ირმა კვაშილავა, აფხაზური ისტორიოგრაფიის მითოლოგემა სამურზაყანოს შესახებ: “კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, X. თბილისი, 2007.

საქართველოს მოსახლეობის... 1991 — საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 1991.

ТЕЙМУРАЗ ГВАНЦЕЛАДЗЕ**ЯЗЫКОВАЯ ПОЛИТИКА В СОВРЕМЕННОЙ АБХАЗИИ
(ОСНОВНЫЕ АСПЕКТЫ)**

С октября 1993 года в Абхазии установился марионеточный оккупационный режим, который проводит русификаторскую этно-демографическую и языковую политику. В результате радикально изменилась этническая и языковая ситуация региона:

а) Сократилось количества абхазского (с 93 тыс. до 64 тыс.) и грузинского населения (с 239 тыс. до 67 тыс.).

б) Уничтожается большая часть грузинского населения (с 1993 по 1997 гг. только в гальском районе убито 951 чел.).

в) С целью отсечения гальских грузин от грузинского народа они официально именуется мегрелами, а не грузинами.

г) Не улучшилось положение абхазского языка, хотя он официально носит статус государственного языка. Например, в т.н. абхазских школах с V класса языком обучения опять остается русский язык; делопроизводство почти во всех учреждениях ведется только на русском языке ...

д) Грузинский язык является изгоем. Например, из 58 школ гальского района грузинский язык остался языком обучения лишь в десяти школах, а остальные стали русскоязычными школами. В других же районах и городах не осталось ни одной грузинской школы, ни одного грузиноязычного учреждения.